

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2024 წლის 22 ნოემბერი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/12/2023წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.140.016524) და დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10 615,3	15 924,9	4 578,0	11 346,9	18 334,5	7 101,4	11 233,1
შემოსავლები	10 615,3	15 805,1	4 578,0	11 227,1	17 550,5	7 101,4	10 449,1
არაფინანსური აქტივების კლება	0,0	119,8	0,0	119,8	784,0	0,0	784,0
გადასახდელები	11 077,2	15 711,5	5 465,4	10 246,2	20 067,8	7 304,2	12 763,6
ხარჯები	5 527,3	7 299,5	129,5	7 170,0	8 657,3	151,3	8 506,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 327,3	8 412,0	5 335,8	3 076,2	11 410,5	7 152,9	4 257,5
ვალდებულებების კლება	222,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



ნაშთის ცვლილება	-461,9	213,3	-887,4	1 100,7	-1 733,3	-202,8	-1 530,5
-----------------	--------	-------	--------	---------	----------	--------	----------

მუხლი 2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი თანდართული რედაქციით:

ათას ლარში.

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10 615,3	4 944,6	5 670,8	15 805,1	4 578,0	11 227,1	17 550,5	7 101,4	10 449,1
გადასახადები	4 607,9	0,0	4 607,9	7 996,1	0,0	7 996,1	9 562,4	0,0	9 562,4
გრანტები	5 089,6	4 944,6	145,0	7 003,0	4 578,0	2 425,0	7 278,1	7 101,4	176,7
სხვა შემოსავლები	917,9	0,0	917,9	806,0	0,0	806,0	710,0	0,0	710,0
ხარჯები	5 527,3	98,1	5 429,2	7 299,5	129,5	7 170,0	8 657,3	151,3	8 506,0
შრომის ანაზღაურება	1 860,7	0,0	1 860,7	2 093,8	0,0	2 093,8	2 364,3	0,0	2 364,3
საქონელი და მომსახურება	985,5	98,1	887,4	1 336,7	129,5	1 207,1	1 579,2	151,3	1 427,9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	27,0	0,0	27,0	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	2 079,1	0,0	2 079,1	2 748,7	0,0	2 748,7	3 419,9	0,0	3 419,9
გრანტები	15,0	0,0	15,0	30,0	0,0	30,0	36,6	0,0	36,6
სოციალური უზრუნველყოფა	335,9	0,0	335,9	623,4	0,0	623,4	779,6	0,0	779,6
სხვა ხარჯები	224,1	0,0	224,1	467,0	0,0	467,0	477,8	0,0	477,8
საოპერაციო სალდო	5 088,0	4 846,5	241,5	8 505,6	4 448,5	4 057,1	8 893,2	6 950,1	1 943,1



არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 327,3	4 374,3	952,9	8 292,2	5 335,8	2 956,4	10 626,5	7 152,9	3 473,5
ზრდა	5 327,3	4 374,3	952,9	8 412,0	5 335,8	3 076,2	11 410,5	7 152,9	4 257,5
კლება	0,0	0,0	0,0	119,8	0,0	119,8	784,0	0,0	784,0
მთლიანი სალდო	- 239,2	472,2	-711,4	213,3	-887,4	1 100,7	-1 733,3	-202,8	-1 530,5
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 461,9	472,2	-934,1	213,3	-887,4	1 100,7	-1 733,3	-202,8	-1 530,5
ზრდა	472,2	472,2	0,0	1 100,7	0,0	1 100,7	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	472,2	472,2		1 100,7		1 100,7	0,0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	934,1	0,0	934,1	887,4	887,4	0,0	1 733,3	202,8	1 530,5
ვალუტა და დეპოზიტები	934,1		934,1	887,4	887,4		1 733,3	202,8	1 530,5
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	- 222,6	0,0	-222,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	222,6	0,0	222,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	222,6	0,0	222,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

თავი II

მუხლი 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 17 550,5 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2022 წლის ფაქტი		2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
1 შემოსავლები	10 615,3	15 805,1	4 578,0	11 227,1	17 550,5	7 101,4	10 449,1	
2 გადასახდელები	4 607,8	7 996,1	0,0	7 996,1	9 562,4	0,0	9 562,4	
3 გრანტები	5 089,6	7 003,0	4 578,0	2 425,0	7 278,1	7 101,4	176,7	
4 სხვა შემოსავლები	917,9	806,0	0,0	806,0	710,0	0,0	710,0	

მუხლი 4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9 562,4 ათასი ლარის ოდენობით:

	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა



დასახელება	კოდი	მათ შორის				მათ შორის		
		სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	4 607,8	7 996,1	0,0	7 996,1	9 562,4	0,0	9 562,4
ქონების გადასახადი	113	3 191,8	2 896,6	0,0	2 896,6	3 150,0	0,0	3 150,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	2 985,2	2 658,7		2 658,7	3 113,0		3 113,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0,0	0,0			0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	1,4	2,2	0,0	2,2	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	154,2	183,5	0,0	183,5	30,0	0,0	30,0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	98,2	105,3		105,3	25,0		25,0
იურიდიულ პირებიდან	1131142	55,9	78,3		78,3	5,0		5,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	51,1	52,2	0,0	52,2	7,0	0,0	7,0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	2,9	3,9		3,9	2,0		2,0
იურიდიულ პირებიდან	1131152	48,2	48,4		48,4	5,0		5,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0,0	0,0			0,0		
სხვა გადასახადები (დ.ღ.გ)	116	1 416,0	5 099,4		5 099,4	6 412,4		6 412,4

მუხლი 5. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები 7 278,1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი		2024 წლის გეგმა			
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი



				გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
გრანტები	13	5 089,6	7 003,0	4 578,0	2 425,0	7 278,1	7 101,4	176,7
სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	0,0	35,0		35,0	0,0		0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	5 089,6	6 968,0	4 578,0	2 390,0	7 278,1	7 101,4	176,7
სპეციალური ტრანსფერი	1332	0,0	1 700,0		1 700,0	0,0		
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	319,0	957,3	267,3	690,0	534,7	358,0	176,7
გათანაბრებითი ტრანსფერი		0,0	0,0			0,0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		243,1	379,5	129,5	250,0	328,0	151,3	176,7
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		76,0	577,8	137,8	440,0	206,7	206,7	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	4 770,5	4 310,7	4 310,7	0,0	6 743,4	6 743,4	0,0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		4 476,5	4 016,7	4 016,7		5 949,4	5 949,4	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		294,0	294,0	294,0		294,0	294,0	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდა						500,0	500,0	

მუხლი 6. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 710,0 ათ.ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი		2024 წლის გეგმა	
			მათ შორის		მათ შორის	
			სახელმწიფო		სახელმწიფო	



		სულ	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	917,9	806,0	0,0	806,0	710,0	0,0	710,0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	508,2	468,9	0,0	468,9	500,0	0,0	500,0
პროცენტები	1411	143,2	103,2		103,2	150,0		150,0
დივიდენდები	1412	0,1	0,0			0,0		
რენტა	1415	365,0	365,7	0,0	365,7	350,0	0,0	350,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	149,0	319,3		319,3	350,0		350,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	32,5	46,4		46,4	0,0		0,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	183,5	0,0			0,0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	45,7	67,5	0,0	67,5	30,0	0,0	30,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	45,7	66,7	0,0	66,7	30,0	0,0	30,0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	25,7	24,9		24,9	5,0		5,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0,0	0,0			0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	19,7	41,8	0,0	41,8	25,0		25,0
სხვა არაკლასიფი- ცირებული მოსაკრებელი	142299	0,2						
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	0,0	0,8	0,0	0,8	0,0	0,0	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0,0	0,0			0,0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	3,2	0,0		0,0	0,0		



ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	243,1	238,5		238,5	180,0		180,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	121,0						
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	0,0	31,2		31,2	0,0		

თავი III

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები 8 657,3 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგან. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	5 527,3	98,1	5 429,2	7 299,5	129,5	7 170,0	8 657,3	151,3	8 506,0
	შრომის ანაზღაურება	1 860,7	0,0	1 860,7	2 093,8	0,0	2 093,8	2 364,3	0,0	2 364,3
	საქონელი და მომსახურება	985,5	98,1	887,4	1 336,7	129,5	1 207,1	1 579,2	151,3	1 427,9
	პროცენტი	27,0	0,0	27,0	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	2 079,1	0,0	2 079,1	2 748,7	0,0	2 748,7	3 419,9	0,0	3 419,9
	გრანტები	15,0	0,0	15,0	30,0	0,0	30,0	36,6	0,0	36,6
	სოციალური უზრუნველყოფა	335,9	0,0	335,9	623,4	0,0	623,4	779,6	0,0	779,6
	სხვა ხარჯები	224,1	0,0	224,1	467,0	0,0	467,0	477,8	0,0	477,8

მუხლი 8. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 10 626,5 ათასი



ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11 410,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	139,0	0,0	139,0	795,8	137,8	658,0	959,2	226,7	732,5
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 034,6	3 353,7	680,8	6 067,2	4 521,4	1 545,8	8 995,6	6 211,7	2 783,9
დასუფთავება და გარემოს დაცვა	4,7	0,0	4,7	0,0	0,0	0,0	0,8	0,0	0,8
განათლება	784,2	696,6	87,6	1 066,4	561,3	505,1	150,6	0,0	150,6
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	364,8	324,0	40,9	482,6	115,3	367,3	1 229,4	714,1	515,3
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	74,9	0,4	74,5
სულ ჯამი	5 327,3	4 374,3	952,9	8 412,0	5 335,8	3 076,2	11 410,5	7 152,9	4 257,6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 784,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები



		გამოყოფილი ტრანსფერები		გამოყოფილი ტრანსფერები		გამოყოფილი ტრანსფერები		გამოყოფილი ტრანსფერები	
არაფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	119,8	0,0	119,8	784,0	0,0	784,0
ძირითადი აქტივები	0,0			65,3		65,3	774,0		774,0
მატერიალური მარაგები	0,0			0,0			0,0		
ფასეულობები	0,0			0,0			0,0		
არაწარმოებული აქტივები	0,0	0,0	0,0	54,5	0,0	54,5	10,0	0,0	10,0
მიწა	0,0		0,0	54,5		54,5	10,0		10,0

მუხლი 9. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2 745,7	0,0	2 745,7	3 486,6	137,8	3 348,8	4 233,4	226,7	4 006,7
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 496,1	0,0	2 496,1	3 486,5	137,8	3 348,7	4 195,3	226,7	3 968,6
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 496,1	0,0	2 496,1	3 486,5	137,8	3 348,7	4 195,3	226,7	3 968,6
საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საერთო დანიშნულების მომსახურება	249,6	0,0	249,6	0,1	0,0	0,1	38,1	0,0	38,1



თავდაცვა	122,6	0,0	122,6	118,5	0,0	118,5	0,0	0,0	0,0
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ეკონომიკური საქმიანობა	3 573,9	2 634,1	939,8	5 729,7	4 145,3	1 584,4	8 326,1	5 341,7	2 984,4
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	769,4	294,0	475,4	1 076,3	294,0	782,3	1 159,2	294,0	865,2
სოფლის მეურნეობა	769,4	294,0	475,4	1 076,3	294,0	782,3	1 159,2	294,0	865,2
სატყეო მეურნეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ტრანსპორტი	2 804,5	2 340,1	464,3	4 653,4	3 851,3	802,1	7 166,9	5 047,7	2 119,2
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 804,5	2 340,1	464,3	4 653,4	3 851,3	802,1	7 166,9	5 047,7	2 119,2
გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გარემოს დაცვა	389,3	1,9	387,4	464,2	0,0	464,2	1 122,5	504,3	618,2
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	387,3	0,0	387,3	464,2	0,0	464,2	600,0	0,0	600,0
ჩამდინარე წყლების მართვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2,0	1,9	0,1	0,0	0,0	0,0	522,5	504,3	18,2
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 139,1	717,7	421,4	1 301,6	376,1	925,5	1 317,3	365,7	951,6
ბინათმშენებლობა	14,7	0,0	14,7	236,9	0,0	236,9	26,8	0,0	26,8
კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წყალმომარაგება	748,4	717,7	30,7	477,5	376,1	101,4	190,6	4,4	186,2
გარე განათება	340,8	0,0	340,8	418,4	0,0	418,4	941,7	361,3	580,4
გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში (საპროექტო)	35,3	0,0	35,3	168,8	0,0	168,8	158,2	0,0	158,2
ჯანმრთელობის დაცვა	68,7	0,0	68,7	76,1	0,0	76,1	236,8	0,4	236,4
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	68,7	0,0	68,7	76,1	0,0	76,1	236,3	0,0	236,3
გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,5	0,4	0,1
დასვენება, კულტურა და რელიგია	1 145,5	324,0	821,5	1 652,0	115,3	1 536,7	2 478,2	714,1	1 764,0
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	367,3	133,1	234,2	397,3	0,0	397,3	716,5	282,8	433,8
მომსახურება კულტურის სფეროში	596,0	190,9	405,0	765,0	115,3	649,7	1 394,9	431,4	963,6
ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	90,0	0,0	90,0	196,6	0,0	196,6	200,0	0,0	200,0
გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	92,2	0,0	92,2	293,1	0,0	293,1	166,7	0,0	166,7
განათლება	1 559,2	794,7	764,5	2 271,2	690,8	1 580,4	1 549,0	151,3	1 397,6
სკოლამდელი აღზრდა	1 367,5	602,9	764,5	2 141,7	561,3	1 580,4	1 397,6	0,0	1 397,6
ზოგადი განათლება	191,7	191,7	0,0	129,5	129,5	0,0	151,3	151,3	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



სოციალური დაცვა	333,2	0,0	333,2	611,6	0,0	611,6	804,6	0,0	804,6
ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	115,2	0,0	115,2	123,7	0,0	123,7	140,0	0,0	140,0
ავადმყოფთა სოციალური დაცვა	89,3	0,0	89,3	93,9	0,0	93,9	100,0	0,0	100,0
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	25,8	0,0	25,8	29,8	0,0	29,8	40,0	0,0	40,0
ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	41,7	0,0	41,7	51,1	0,0	51,1	51,0	0,0	51,0
მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	17,6	0,0	17,6	36,3	0,0	36,3	45,0	0,0	45,0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	158,7	0,0	158,7	400,4	0,0	400,4	568,6	0,0	568,6
სულ	11 077,2	4 472,4	6 604,8	15 711,5	5 465,4	10 246,2	20 067,8	7 304,2	12 763,6

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -1 733,3 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 8 893,2 ათასი ლარით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	5 088,0	8 505,6	8 893,2
მთლიანი სალდო	-239,2	213,3	-1 733,3

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -1 733,3 ათ. ლარით: ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-461,9	213,3	-1 733,3
ზრდა	472,2	1 100,7	0,0
ვალუტადადეპოზიტი	472,2	1 100,7	0,0
კლება	934,1	887,4	1 733,3



მუხლი 12. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 0,0 ლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 1 733,3 ათ.ლარი. მათ შორის:

განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ჯამმა შეადგენა 202,8 ათ ლარი. აქედან:

2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერი 4,3 ათ ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის № 2685 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 30,0 ათ. ლარი.

2017 წლის 14 მარტის № 480 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 10,6 ათ. ლარი.

2019 წლის 15 მარტის № 554 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 0,4 ათ. ლარი.

2020 წლის 18 მარტის № 551 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 8,9 ათ. ლარი.

2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 3,8 ათ. ლარი.

2023 წლის 10 ივლისის N1284 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 7,4 ათ. ლარი.

2022 წლის 29 დეკემბრის N 2475 განკარგულებით კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 137,4 ათ. ლარი.

სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან 1 530,5 ათ ლარი მიიმართოს 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად.

თავი IV**ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები****მუხლი 13. ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები****1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, ასევე დასუფთავების ღონისძიებები, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 10 165,9 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4 715,1	7 031,3	10 165,9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	2 804,5	4 653,4	7 166,9
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 305,1	1 353,3	1 956,6
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	748,4	477,5	190,6
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	340,8	418,4	941,7
02 02 03 01	ა(ა)იკ გარე განათება	125,6	182,3	219,4
02 02 03 02	გარე განათების ექსპლუატაცია	215,1	236,1	722,3
02.02 04	სარწავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	199,2	220,5	275,0
02 02 05	ბინათმშენებლობა	14,7	236,9	26,8
02 02 06	მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები	2,0	0,0	522,5
02 03	საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	35,3	168,8	158,2
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	570,3	855,8	884,2

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსებათა ლარში
	02 01		7 166,9
პროგრამი სგანმახორციელებელი	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერულად მგრძობიარე საგზაო			



პროგრამის აღწერა და მიზანი	ინფრასტრუქტურის მოწყობას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებები) მოწყობას. ასევე გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობით შესაძლებელი იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტების უსაფრთხო, შეუფერხებელი და სწრაფი გადაადგილება, რაც დადებით ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს მოუტანს გზით, ქუჩით მოსარგებლე ბენეფიციარებს.

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		190,6
პროგრამის განმახორციელებელი	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ასპინძის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელებით მიეწოდება მოსახლეობის 85%, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალი მიეწოდება -დ. ასპინძას, სოფლებს ოთას, ოშორას და იდუმალას- 1582 ოჯახს. ასპინძის მუნიციპალიტეტის 9 სოფელს სასმელი წყალის მიწოდებას ზედამხედველობას და მომსახურებობას უწევს ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი. ემსახურება მასში მცხოვრებ 805 ოჯახს. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია დაბის მთლიან ტერიტორიაზე. ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების მოწყობა-გაფართოება. ასევე სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგება (მ.შ. ტექნიკური წყლით) და ქალაქისა და დაბის მრავალბინიანი სახლების წყალარინება		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		941,7
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ გარე განათება.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარეგანათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარეგანათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. დამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში დამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. დამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ასპინძის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარეგანათების ინფრასტრუქტურა. განათებული ქუჩები. უსაფრთხო გადაადგილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს		



შედეგი	უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.
--------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

პროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და სოფლების სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 04		275,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი		
ა(ა)იპასპინძის მელიორაციისა და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, გრავიტაციული არხების წმენდითი სამუშაოები ნატანისაგან, დროებითი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, მილხიდების, დიუკერების და მოპირკეთებული წყალსატარების წმენდა, სადერევაციო არხის წმენდა, სატუმბო სადგურების ძალოვანი აგრეგატების (ტუმბო,ძრავი) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ელექტროაღრიცხვის და ელ.მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, სადაწნეო ქსელებზე შესადულებელი სამუშაოების წარმოება, წყალსაცავზე- შემავესებელი და სამომხმარებლო გრავიტაციული არხების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები , წყალსაცავის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სოფლების სასმელიწყლის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები		
მოსალოდნელი შედეგი	მელიორაციული ობიექტების მოვლა-პატრონობა და შენახვა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გრავიტაციული არხების, სატუმბო სადგურების, წყალსაცავის და სოფლების სასმელი წყლის ექსპლოატაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 05		26,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება. განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების და სხვა შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების შეკეთებისათვის სამშენებლო მასალის შექმნა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მრავალსართულიანი კორპუსები რომელებიც საჭიროებენ სამირკვლის გამაგრებას ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციას. პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს დაბაში არსებული კორპუსების კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი და რეაბილიტიზირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები		

პროგრამის დასახელება	კოდი	მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 06		522,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მდინარეებზე კალაპოტების გამაგრება, ეროზიისაგან დაცვა, ნათესების და მოსახლეობის დაცვა ჭარბი წყლებისაგან.
მოსალოდნელი შედეგი	დაცული მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სტიქიური უბედურებისაგან. დაცული კულტურული ნათესები განადგურებისაგან.

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		158,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი. პროგრამის მიზანია სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება;		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; უზრუნველყოფილია ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		884,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების განხორციელება, მათი მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი პრიორიტეტები შერჩევა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციების შესაბამისად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა		

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის



ქუჩების, ასევე სოფლების, ტროტუარების, სკვერების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელამდე, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 600,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	387,3	464,2	600,0
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	0,0	0,0	0,0
03 02	ა(ა)იპ კეთილმოწყობა	387,3	464,2	600,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 00		600,0
პროგრამის განმახორციელებელი		ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ ასპინძის კეთილმოწყობა	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, დაბაში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვევის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 270 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; დაბის ტერიტორიიდან, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავში. 2024 წლისათვის დაგეგმილია კიდევ 1 ნაგავში ავტომანქანის დამატება. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 140500 კვმ ფართობი. პროგრამის ფარგლებში 2024 წლისათვის იგეგმება 9900 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა, სულ ყოველდღიურად მოხდება 150400 კვმ ფართობის დაგვა-დასუფთავება.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა	

3. განათლება

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საადმინისტრაციო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებები



რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი ჰქონდეთ აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასპინძის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ასევე მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 549,0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
04 00	განათლება	1 559,2	2 271,2	1 549,0
04 01	სკოლამდელი განათლება	1 367,5	2 141,7	1 397,6
04 01 01	ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	677,0	1 120,8	1 300,0
04 01 02	ბაღების რეაბილიტაცია	690,5	1 020,9	97,6
04 03	საჯარო სკოლები	191,7	129,5	151,3
04 03 01	ზოგადი საჯარო სკოლები	191,7	129,5	151,3



პროგრამის დასახელება	კოდი	ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01 01		1 300,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების კოორდინაცია: თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება ყველა ბავშვისათვის; კვალიფიციური საგანმანათლებლო პერსონალი; სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;</p> <p>ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, 2 ასპინძაში, 1 სოფელ რუსთავში და 1 სოფელ ტოლოშში . 2023 წლის სექტემბრიდან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაიწყო სოფელ ძველის ახლად აშენებულ ბაღში, რომელიც გარდა სოფელი ძველის ბავშვებისა, ახლომდებარე 3 სოფლის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებსაც მიიღებს. ხუთივე საბავშვო ბაღში რეგისტრირებულია 430 აღსაზრდელი. ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 102 თანამშრომელი, მათ შორის 94 ქალი, 8 მამაკაცი. . მუნიციპალიტეტის სოფლიდან ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები. უსაფრთხო, კომფორტული, პირობების შექმნა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბაღების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01 02		97,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბაღების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ბაღების გალამაზებული იერსახე, უკეთესი ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		151,3



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების კეთილმოწყობა. ასევე მოხდება მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლების გალამაზებული იერსახე, უკეთესი ინფრასტრუქტურა. მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 478,2 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალ-გაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 145,5	1 652,0	2 478,2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	367,3	397,3	716,5
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	144,2	134,9	346,3
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	223,1	262,4	370,3
05 01 02 02	ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება	143,1	157,4	205,3
05 01 02 03	ა(ა) იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო	80,0	105,0	165,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	596,0	765,0	1 394,9
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	596,0	765,0	1 394,9
05 02 01 02	ა(ა) ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება კულტურის ცენტრი	190,6	225,5	240,0



05 02 01 03	მთავარი ბიბლიოთეკა	74,2	79,1	95,0
05 02 01 04	სახელოვნებო სკოლები	125,7	146,4	160,0
05 02 01 07	კულტურის ობიექტების მშენებლობა	205,4	314,0	899,9
05 03	ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაფინანსება	92,2	293,1	166,7
05 04	რელიგია	90,0	196,6	200,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	2024 წ დაფინანსება ათასლარებში
	05 01 01		346,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის , განათლების, სპორტის,მეგლთა დაცვის ,ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური და ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობას ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წლისათვის განხორციელდება შემდეგი სპორტული აქტივობები: მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია დაწესებულებების, დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების 10-12 გუნდი 150 -მდე მოყვარულ ფეხბურთელები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით. მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში- პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჭადრაკის მოყვარული, როგორც კაცები, ქალები, ასევე ბიჭები და გოგონები გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში- პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნარდის 100 მდე მოყვარული, როგორც კაცები, ასევე ქალები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მონარდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.</p> <p>მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში -პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულთა შორის . შეჯიბრება ჩატარდება ერთ კატეგორიაში ინდივიდუალურ მონაწილეობას მიიღებენ 16 წელზე ზევით ასკის 100 მდე მაგიდის ჩოგბურთის მოყვარული ორივე სქესის წარმომადგენლები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით. ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება -„ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა. რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს, რაც თავის მხრივ გაზრდის ახალგაზრდების ინტერესს სპორტის ყველა სახეობის მიმართ, სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს კი მიეცემათ სტიმული და მოტივაცია არსებული შედეგების გაუმჯობესებისთვის რაც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებაზე და პოპულარიზაციაზე. წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისებისათვის გათვალისწინებული ჯილდოების (დახმარების) გაცემა ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი თაობის სწორი აღზრდისთვის და მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადის ორგანიზებაში მონაწილეობს, როგორც საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფედერაცია, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, მეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური, ღონისძიებაში ჩართულია მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 16 საჯარო სკოლების 760 მოსწავლეებისაგან (400 ბიჭი და 360 გოგო) შემდგარი სპორტული გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ მუნიციპალურ, ხოლო შემდეგ რეგიონალურ და ფინალურ შეხვედრებში სპორტის შემდეგ სახეობებში: 3X3-ზე კალათბურთი, მინი-ფეხბურთი,</p>		



	მაგიდის ჩოგბურთი, კროსი, ფრენბურთი, ხელბურთი, მხიარული სტარტები. მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია - სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტული ღონისძიებების სამსაჯო მომსახურების ხარჯები, სპორტულ ღონისძიებებისათვის სპორტული ფორმების შეძენა, მუნიციპალიტეტის მხრიდან სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო სატრანსპორტო ხარჯები.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებული არიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		205,3
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სისტემატურ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება</p> <p>ა(ა)იპ - ასპინძის სასპორტო გაერთიანება - გაერთიანების ბაზაზე არსებული სპორტის სახეობათა განვითარება; კერძოდ: ფეხბურთის სექცია, რაგბის სექცია, ძიუდოს სექცია, მძლეოსნობის სექცია, ბ/რ ჭიდაობის სექცია, მშვილდოსნობის სექცია, კალათბურთის სექცია - სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება; - ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; - აღნიშნული სპორტის მასობრიობის და ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა; - სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა; - გაერთიანების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება; - სპორტული ტრადიციების შენარჩუნება; - სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, სიგელების, ჯილდოების შეძენა; - სასპორტო გაერთიანებისათვის სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა; - სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება; - მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება; - ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; - სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზოზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა; - გაერთიანებაში არსებული სპორტის სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება; გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება;</p>	
მოსალოდნელი შედეგი		უზრუნველყოფილია სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის	

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 03		165,0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“, რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითარება და პროფესიული რაგბის დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთის მხარეში.</p> <p>კლუბის სამომავლო გეგმები: რეგიონის ბავშვთა რაგბის განვითარება, რეგიონში რაგბს კერების გაზრდა. ახალ სეზონში კაცთა გუნდის მიზანი ეს არის: დიდი -10-ში (უმალღეს ლიგაში) ასვლა. რაც ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას რეგიონში. 2023-2024 წლების სეზონში ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბ „ტაო“ საქართველოს რაგბის ჩემპიონატში ორი (16 წლამდე და კაცთა) გუნდით გამოვიდა.</p> <p>გუნდში 28 მოთამაშე ირიცხება.</p>	



	კაცთა გუნდს, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის 2023-2024 წლების სეზონში დასახული აქვთ უმაღლესი ლიგისთვის ბრძოლა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა რაგბში.

პროგრამის დასახელება	კოდი	ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		240,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი		
